თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 27 თებერვლის სხდომის ოქმი N 3.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 27 თებერვალს 12.00 საათზე, 206 აუდიტორიაში შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 38 წევრი.

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 21 წევრი.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის, დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება;

   /დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიში;

   /ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის ანგარიშის შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

6. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემფასებელი, ტურუპერატორი), ქუთაისის სასწავლო

ცენტრის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემფასებელი), კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

7. თსუ მოდულური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (საბაჟო საქმე, საოფისე საქმე და სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა) განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ;
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ;
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

10. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---21;

წინააღმდეგი---0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 27 თებერვლის N3 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს : ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის, დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილი ინფორმაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის 1981 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონ მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №1659/10, 04.02.2019) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა კურსდამთავრებულ მალხაზ ქადაგიშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და სპეციალობის დაზუსტება. მალხაზ ქადაგიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური

ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფრმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ მალხაზ ალექსანდრეს ძე ქადაგიშვილი 1977 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის სწავლების საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/473, 25.08.1977). საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთვრებულ მალხაზ ალექსანდრეს ძე ქადაგიშვილს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით მიენიჭა კვალიფიკაცია - უმაღლესი საქონელმცოდნე სპეციალობით საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1981 წლის 8 ივლისის №4/335 ბრძანებით მიენიჭა კვალიფიკაცია უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე სპეციალობით საქონელცმოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი. 1979-1981 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №053286 (სარეგისტრაციო №130) რეგისტრირებულია მალხაზ ალექსანდრეს ძე ქადაგიშვილის სახელზე. წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1981 წელს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 11 ოქმი. აქედან 9 ოქმზე დაფიქსირებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი და ოქმის ნომერი, 2 ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი, თუმცა მ.შ. ერთ ოქმზე მითითებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი (24.06.1981), ხოლო მეორე ოქმზე დაფიქსირებულია, მხოლოდ წელი და თვე (1981, ივნისი). ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულეტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: დოც. არჩილ იოსების ძე თეთრაული; წევრები: პროფ. ი. მუჯირი, დოც. მ. ჩარექიშვილი, დოც. გ. ნადირაშვილი, დოც. ა. ლაშხია, დოც. თ. ჯაში, დოც.იზ. ადეიშვილი) მიერ წარმოებულია ორი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი. მ.შ. ერთ ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი (1981 წელი, 24 ივნისი), ხოლო მეორე ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ თვე (1981 წელი, ივნისი). ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულეტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ნ. ზ. იაკობაშვილი; წევრები: პროფ. გ.მიქელაძე, დოც. შ. გველესიანი, დოც. შ. ჩოგოვაძე,

დოც. შ. ხაჭაპურიძე, დოც. ი. ბახტაძე, დოც. ე. ჩეჩელიშვილი) მიერ 1981 წლის 25 ივნისს წარმოებულია ორი ოქმი და წარმოდგენილ ოქმებს მინიჭებული აქვს ნომერი №5. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულეტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: ლუდვიგ ივანეს ძე სადუნაშვილი; წევრები: მამია იოსების ძე ღაღანიძე, ასკალონ სიმონის ძე ლომიძე, ამირან სოსოს ძე გაგნიძე, ესტატე ალექსანდრეს ძე ბოლოკაძე, ზიგფრიდ შალვას ძე გრიგოლაშვილი, ამირან არსენის ძე მელუა) მიერ 1981 წლის 29 ივნისს წარმოებულია ოთხი ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებული თარიღი და მინიჭებული აქვს ნომერი (№13). ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულეტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: ი. გ. ბურდული; წევრები: პროფ. მ. ი. ღაღანიძე, პროფ. ნ. მ. ტყეშელაშვილი, დოც. გ. ზ. ბერკაცაშვილი, უფრ. მასწ. ჯ. დ. წაქაძე) მიერ 1981 წლის 24 ივნისს წარმოებულია სამი ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებული თარიღი და მინიჭებული აქვს ნომერი (№7).

საარქივო დოკუმენტებიდან დადგინდა, რომ სხვადასხვა კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიამ განიხილა უნომრო ოქმებისთვის ნომრების მინიჭებისა და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ"-ს დამატების შესაძლებლობა. ამასთან, გასათვალისწინებელია, 1981 წელს სახელმწიფო საგამოცდო კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრის პრინციპი. კერძოდ;

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომა ჩატარდა 1981 წლის 24 ივნისს (ოქმები უნომროა);

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომა ჩატარდა 1981 წლის 25 ივნისს და ოქმებს მიანიჭეს №5;

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომა ჩატარდა 1981 წლის 24 ივნისს და ოქმებს მიანიჭეს №7.

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო კომისიის სხდომა ჩატარდა 1981 წლის 29 ივნისს და ოქმებს მიანიჭეს №13.

ამრიგად, გამოყენებული პრინციპის გათვალისწინებით ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებულ ყველა უნომრო ოქმს მიზანშეწონილია მიენიჭოს №4.

ასევე აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტს №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ორი ოქმიდან ერთ ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ჩატარების თვე (1981 წლის ივნისი), ხოლო მეორე ოქმზე თარიღი დაფიქსირებულია სრულად (1981 წლის 24 ივნისი). ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის

სამსახურის მიერ საარქივო მასალების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 1981 წელს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიები მუშაობდნენ შემდეგი განრიგით.

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ 1981 წლის 25 ივნისს ხარისხი მიანიჭა 51 კურსდამთავრებულს;

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ 1981 წლის 29 ივნისს ხარისხი მიანიჭა 100 კურსდამთვრებულს;

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ 1981 წლის 24 ივნისს - 39 კურსდამთავრებულს.

რაც შეეხება ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიას, მათ ხარისხი მიანიჭეს 100

კურსდამთავრებულს, რაც შესაძლებელია მომხდარიყო ორ დღეს და ეს დღე

სავარაუდოდ იქნებოდა 1981 წლის 24 და 25 ივნისი.

აზრი გამოთქვეს: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---21;

წინააღმდეგი---0

დაადგინეს:

I. აღდგენილად ჩაითვალოს 1981 წელს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (დღე, საღამო) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის განყოფილების საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. მალხაზ ქადაგიშვილი) „უმაღლესი საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვეროს 1981 წლის 24 ივნისი და ნომრად №4/პ;

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის

სპეციალობის კურსდამთავრებულებს „უმაღლესი საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვეროს 1981 წლის 25 ივნისი და ნომრად №4/3.

II. აღდგენილად ჩაითვალოს 1981 წელს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ

წარმოებული საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (დღე, საღამო) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის განყოფილების საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო

საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №5, 25.06.1981;

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №5, 25.06.1981.

III. აღდგენილად ჩაითვალოს 1981 წელს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ვაჭრობის ეკონომიკა საზოგადოებრივ კვებაში (დღე) და ვაჭრობის ეკონომიკის (დღე, საღამო, დაუსწრებელი) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკა საზოგადოებრივ კვებაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №13, 29.06.1981;

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №13, 29.06.1981;

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №13, 29.06.1981; ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე

მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 29 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №13, 29.06.1981;

IV. აღდგენილად ჩაითვალოს 1981 წელს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის (დღე, საღამო, დაუსწრებელი) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი

და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №7,24.06.1981;

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №7,24.06.1981;

ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1981 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №7, 24.06.1981.

V. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1, №2, №3 და №4 სახელმწიფო საგამოცდო

კომისიების მიერ 1981 წლის 24, 25 და 29 ივნისს წარმოებული სხდომის ოქმებში (იხ. 1. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმები; 2. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 25 ივნისის სხდომის ოქმები; 3. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმები და 4. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმები)

მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები

განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიში.

/ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე/

დეკანმა, პროფესორმა, გიორგი ღაღანიძენ საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 2018 წლის თვითშეფასებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიში. (აღნიშნული ანგარიში წინასწარ გასაცნობად დაეგზავნა საბჭოს ყველა წევრს).

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, ის მნიშვნელოვანი შედეგები, რაც მიღწეული იქნა 2018 წლის განმავლობაში, კერძოდ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“ შევიდა ERIHPLUS -ბაზაში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა, მან აღნიშნა რომ წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მომავალში კარგი იქნება, თუ ამ მონაცემების საფუძველზე გაკეთდება ანალიზი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---21;

წინააღმდეგი---0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 2018 თვითშეფასებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ეკონომიკის საერთაშრისო სკოლის დირექტორის მოადგილის თინათინ ჰებერტის წერილი (#2394/29 14.02.2019), რომლის საფუძველზეც საბჭოს წინაშე ის ითხოვს შუამდგომლობას მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ინგლისურენოვანი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ თათია სოსიაშვილს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ინგლისურენოვანი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. სოსიაშვილი თათია პ/ნ 01027087925

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხრაიშვილი/

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№1659/10, 04.02.2019) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-

01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა კურსდამთავრებულ მალხაზ ქადაგიშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და სპეციალობის დაზუსტება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ მალხაზ ალექსანდრეს ძე ქადაგიშვილი 1977 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დღის სწავლების საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/473,

25.08.1977).

საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთვრებულ მალხაზ ალექსანდრეს ძე ქადაგიშვილს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით მიენიჭა კვალიფიკაცია - უმაღლესი საქონელმცოდნე სპეციალობით საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1981 წლის 8 ივლისის №4/335 ბრძანებით მიენიჭა კვალიფიკაცია უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე სპეციალობით საქონელცმოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1979-1981 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №053286 (სარეგისტრაციო №130) რეგისტრირებულია მალხაზ ალექსანდრეს ძე

ქადაგიშვილის სახელზე.

ამრიგად, საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთვრებულ მალხაზ ალექსანდრეს ძე ქადაგიშვილს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით მინიჭებული კვალიფიკაცია „უმაღლესი საქონელმცოდნე“ არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1981 წლის 8 ივლისის ბრძანებით (№4/335, 8.07.1981) მინიჭებულ კვალიფიკაციასთან „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია რომ იმ პერიოდში აღნიშნულ სპეციალობას ენიჭებოდა კვალიფიკაცია „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“.

ქალბატონ ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა დაზუსტდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილება და

კურსდამთავრებულებს (მ.შ. მ. ქადაგიშვილი) ნაცვლად „უმაღლესი საქონელმცოდნე“ კვალიფიკაციისა მიენიჭოთ კვალიფიკაცია „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმში დაფიქსირებულ ყველა კურსდამთვრებულზე.

აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: 21 მომხრე,

წინააღმდეგი-0.

დაადგინეს:1. ყოფილი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთვრებულ მალხაზ ალექსანდრეს ძე ქადაგიშვილს ნაცვლად მინიჭებული კვალიფიკაციისა „უმაღლესი საქონელმცოდნე“ მიენიჭოს კვალიფიკაცია „უმაღლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე“.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთვრებულზე (იხ. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმი) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილებით (№2040/10, 08.02.2019 და №2058/10, 08.02.2019) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების იანა მირუაშვილის და სოფიკო ფხოველიშვილის დიპლომის დანართების მომზადება, რისთვისაც საჭიროა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მინიჭებული კვალიფიკაციის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო

მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ იანა მირუაშვილი და სოფიკო ფხოველიშვილი მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხნენ ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული

სწავლების საბიუჯეტო განყოფილების სტატისტიკის სპეციალობაზე (ბრძანება #4/929, 2.08.2004). ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით სტატისტიკის სპეცილობის 2008 წლის კურსდამთვრებულებს იანა მირუაშვილს და სოფიკო ფხოველიშვილს მიენიჭათ ეკონომიკის

მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (ბრძანება №39/01-04, 15.01.2009 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება #25206/02, 26.12.2008).

იანა მირუაშვილის და სოფიკო ფხოველიშვილის დიპლომებში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ 2015 წლის 24 აპრილის (ოქმი №4) და 19 ივნისის (ოქმი №6) ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს გავლილი საგნების, მიღწეული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიხედვით მინიჭებული ხარისხი უფრო შეესაბამება ეკონომიკის, კერძოდ, სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხს. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთვრებულებს იანა მირუაშვილს და სოფიკო ფხოველიშვილს „ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოს „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი". აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით სტატისტიკის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთვრებულების ნაწილში.

აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა - 21 მომხრე,

წინააღმდეგი-0

დაადგინეს: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთვრებულებს (იანა მირუაშვილი, სოფიკო ფხოველიშვილი) მინიჭებული „ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ ,,სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის №39/01-04 ბრძანებით სტატისტიკის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის ანგარიშის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის სამსახურის უფროსმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ. კერძოდ: https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/xarisxi/zqtf7qws2a7vjh7tm//

1. საანგარიშო პერიოდში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის ავტორიზაციის მიღების მიზნით წარსადგენად მომზადდა ოთხი საბაკალავრო, ხუთი სამაგისტრო, სამი სადოქტორო, ცხრა პროფესიული პროგრამა (მათ შორის ხუთი მოდულური და ოთხი საგნობრივი პროფესიული პროგრამა);
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესში, შესაბამისი დოკუმენტების/მარეგულირებელი ნორმების, პროექტების განხილვაში, თვითშეფასების კითხვარის შესავსებად საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების, ექსპერტებთან გასაუბრებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში;
3. აკრედიტაციის მიღების მიზნით წარსადგენად მომზადდა ერთი საბაკალავრო (ბიზნესის ადმინისტრირება), ორი სამაგისტრო (ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი), ერთი სადოქტორო (ბიზნესის ადმინისტრირება) საგანმანათლებლო პროგრამა;
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობდა ფაკულტეტის მიერ აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამების თვითშეფასების პროცესში, შესაბამისი დოკუმენტების/მარეგულირებელი ნორმების პროექტების განხილვაში, თვითშეფასების კითხვარის შესავსებად

საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების, ექსპერტებთან გასაუბრებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში;

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირებისა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები, დაამუშავა შედეგები, შეიმუშავა მიღებულ შედეგებზე რეაგირების წინადადებები და რეკომენდაციები, თსუ და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად გაატარა ღონისძიებები გამოკითხვათა შედეგებით გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად;
6. პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად მომზადდა ორი პროგრამისთვის (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა) მონიტორინგის ანგარიში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად;
7. ფაკულტეტის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული სტრუქტურული და სასწავლო კურსების შინაარსობრივი ცვლილებები, გაუმჯობესების მიზნით მომზადებული შესაბამისი წინადადებები გააცნო პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს;
8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ორგანიზება გაუკეთა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების ხელშემწყობი კომიტეტების, პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროფესორთა სხდომებს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა-გაუმჯობესების წინადადებების განხილვის, შესაბამისი პროექტების მომზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მიზნით;
9. მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ მასალები ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოზე წარსადგენად;
10. მომზადდა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურენოვანი კატალოგი;
11. განახლდა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ქართულენოვანი კატალოგი;
12. განხორციელდა პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა, 2019 წლის მიღებისთვის ანკეტა–კითხვარების მომზადება და წარდგენა ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად;

13. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა თსუ ხარისხის სამსახურის, სასწავლო დეპარტამენტის, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტების პროექტების განხილვაში;
14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა ფაკულტეტის საბჭოსთვის საკითხების მომზადებაში (პროგრამული ცვლილებები, ხარისხების მინიჭება, ხარისხების კორექტირება, ანკეტა-კითხვარების წარდგენა და სხვ.), კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის, კვლევისა და განვითარების სამსახურების საქმიანობასა და მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში;
15. განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე, შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის;
16. პერიოდულად ხდებოდა სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და დოკუმენტაციის მომზადება კრედიტების აღიარების კომისიისათვის, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის კრედიტების წინასწარი აღიარების პროექტების მომზადება, შემოსულ წერილების მიხედვით საკითხების შესწავლა და საპასუხო წერილების მომზადება,
17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა ვორკშოფებსა და ტრეინინგ-სემინარებზე სწავლების მეთოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების შესახებ;
18. განახლდა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სიები, მათი ბიოგრაფიული მონაცემების, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომების მონაცემთა ბაზა.

აზრი არავის გამოუთქვამს
გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები-21 მომხრე,
წინააღმდეგი-0

დაადგინეს: ინფორმაცია, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის ანგარიშის შესახებ, მიღებულ იქნეს ცნობად.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემფასებელი, ტუროპერატორი), ქუთაისის სასწავლო ცენტრის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

(შემფასებელი), კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა, საბჭოს შუამდგომლობისთვის წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემფასებელი, ტურუპერატორი), ქუთაისის სასწავლო ცენტრის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემფასებელი), კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

2018-2019 სასწავლო წლის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ტუროპერატორის" V საფეხურის 5 კურსდამთავრებულს, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შემფასებელი" 2 კურსდამთავრებულს, ასევე თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შემფასებელი" 12 კურსდამთავრებულს რომლებმაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოდულურ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლის პროცესში დააგროვეს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა.

ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

	გვარი, სახელი	**პირადი ნომერი**	**ათვისებული კრედიტების რაოდენობა**
1	გამყრელიძე მარიამი	01008046847	114
2	გაფრინდაშვილი გიორგი	54001057060	114
3	გაფრინდაშვილი დემეტრე	54001057507	114
4	გოგოჭური თეა	01005009591	114
5	ჩარექიშვილი მარი	01005023582	114

შემფასებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

	გვარი, სახელი	პირადი ნომერი	ათვისებული კრედიტების რაოდენობა
1	მინდიაშვილი ნათია	59001126455	121
2	ნაცვლიშვილი ზვიად	01024059592	121

შემფასებელი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის 2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

	გვარი, სახელი	**პირადი ნომერი**	**ათვისებული კრედიტების რაოდენობა**
1	ბაზაძე ეკატერინე	21001041948	121
2	ბედინაშვილი ასმათი	54001059966	121
3	ბერაძე მარინა	04001002453	121
4	ბრეგაძე ბექა	60001148406	121
5	ვაშაკიძე ქეთევანი	60001140001	121
6	კეკუა ნანა	62003016371	121
7	ლეჟავა მამუკა	60001151513	121
8	მეტრეველი აკაკი	53001055887	121
9	ფარქოსაძე ლევანი	38001043687	121
10	ჭანტურიძე ანი	60001154662	121
11	ჭუმბურიძე ანნა	54001057909	121
12	ჯიქიძე ბაქარი	21001040127	121

წერილს თან დაერთვის:

- *მოდულური პროფესიული პროგრამები, უწყისები.*
- *თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის, ბატონ რობერტ გოლეთიანის წერილი.*

აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები-21 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

დაადგინეს : მიენიჭოთ:

ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

	გვარი, სახელი	**პირადი ნომერი**	**ათვისებული კრედიტების**

			რაოდენობა
1	გამყრელიძე მარიამი	01008046847	114
2	გაფრინდაშვილი გიორგი	54001057060	114
3	გაფრინდაშვილი დემეტრე	54001057507	114
4	გოგოჭური თეა	01005009591	114
5	ჩარექიშვილი მარი	01005023582	114

შემფასებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

	გვარი, სახელი	**პირადი ნომერი**	**ათვისებული კრედიტების რაოდენობა**
1	მინდიაშვილი ნათია	59001126455	121
2	ნაცვლიშვილი ზვიად	01024059592	121

შემფასებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თსუ ქუთაისის სასწავლო ცენტრის 2019 წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

	გვარი, სახელი	**პირადი ნომერი**	**ათვისებული კრედიტების რაოდენობა**
1	ბაზაძე ეკატერინე	21001041948	121
2	ბედინაშვილი ასმათი	54001059966	121
3	ბერაძე მარინა	04001002453	121
4	ბრეგაძე ბექა	60001148406	121
5	ვაშაკიძე ქეთევანი	60001140001	121
6	კეკუა ნანა	62003016371	121
7	ლეჟავა მამუკა	60001151513	121
8	მეტრეველი აკაკი	53001055887	121
9	ფარქოსაძე ლევანი	38001043687	121
10	ჭანტურიძე ანი	60001154662	121
11	ჭუმბურიძე ანნა	54001057909	121
12	ჯიქიძე ბაქარი	21001040127	121

მოისმინეს: თსუ მოდულური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (საბაჟო საქმე, საოფისე საქმე და სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა) განხორციელებული ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს, თსუ აკადემიურ საბჭოზე შუამდგომლობისთვის გააცნო შემდეგი ინფორმაცია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით (№ 80/ი, 31. 01. 2019) ცვლილებები შევიდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კერძოდ: „საბაჟო საქმე", „საოფისე საქმე", „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" ჩარჩო დოკუმენტში. კერძოდ, ცვლილება შეეხო მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას და ცვლილებები განიცადა პროგრამის მოდულებმა.

შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საბაჟო საქმე", მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში", პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საოფისე საქმე" მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში", ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში". ცვლილებები პროგრამის მოდულებში აისახა მოდულებიდან პუნქტების 3.4 და 3.5 ამოღებით.

აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები-21 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობით მიმართავს თსუ აკადემიურ საბჭოს, რათა დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები,კერძოდ:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საბაჟო საქმე", მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში",

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საოფისე საქმე“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში“,

3. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში“.

ცვლილებები პროგრამის მოდულებში აისახა მოდულებიდან პუნქტების 3.4 და 3.5 ამოღებით.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსმა მ. ლობჟანიძემ, სა ბჭოს მოახსენა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო დებულების მე 6 მუხლის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების)შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *მაია გიორგელიძის* სადისერტაციო ნაშრომის: ***,,ინკლუზიური ბიზნესის სოციალური ზემოქმედების შეფასება საქართველოში“***(მეცნიერ-ხელმძღვანელები: *ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე),* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ;

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა *(თავმჯდომარე)*
2. პროფესორი დავით ნარმანია
3. პროფესორი დემურ სიჭინვა
4. პროფესორი თემურ შენგელია
5. პროფესორი თამთა მიქაბერიძე *(სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი)*
6. ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი *(მოადგილე)*
7. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი

8. ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშილი
10. ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშილი *(მდივანი)*
11. ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

დაცვის თარიღი: *2019 წლის 15 მარტი, 14 საათი*

2. *ეკონომიკის* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ალექსანდრე შარაშენიძის* სადისერტაციო ნაშრომის: *"ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია"* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *პროფესორი ეთერ ხარაიშვილი),* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ:

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი რევაზ გველესიანი *(მოადგილე)*
2. პროფესორი ნოდარ ხადური *(თავმჯდომარე)*
3. პროფესორი გივი ბედიანაშვილი *(ევროპის უნივერსიტეტი)*
4. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე
5. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
6. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია *(საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი)*
7. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი *(მდივანი)*
8. ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
9. ასისტენტ-პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

დაცვის თარიღი: *2019 წლის 26 მარტი, 14 საათი*

3. *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ნინო ზურაშვილის* სადისერტაციო ნაშრომის: *„დეველოპერული კომპანიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები საქართველოში"* (მეცნიერ-ხელმძღვანელი:*პროფესორი დავით ნარმანია)* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა
2. პროფესორი თემურ შენგელია
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
4. პროფესორი გელა ყიფიანი *(საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი)*

5. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
6. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
7. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
9. ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი
10. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
11. ასისტენტ-პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი
12. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
13. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

4. *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ***შორენა ტიელიძის*** სადისერტაციო ნაშრომის: *„ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის სრულყოფა-ბიზნეს-კომპანიების ეფექტიანობის ფაქტორი“* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი)*** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი დავით ნარმანია
2. პროფესორი ნუგზარ თოდუა
3. პროფესორი თემურ შენგელია
4. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
5. ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი
6. ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი
7. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
8. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
9. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
10. ასოცირებული პროფესორი დავით ნიჟარაძე *(შავი ზღვის უნივერსიტეტი)*
11. ასისტენტ პროფესორი ეკატერინე გულუა
12. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი
13. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

5. *ბიზნესის ადმინისტრირების* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ნათია აღლაძის*

სადისერტაციო ნაშრომის: *,,სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტი“,* (მეცნიერ-ხელმძღვანელები: *ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი),* შემფასებლების დამტკიცების საკითხი

შემფასებლები: *ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე*

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, შორენა ქურდაძე (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

6. *ეკონომიკის* სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ნათია ჯიბლაძის* სადისერტაციო ნაშრომის: *,,საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პერსპექტივები საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით“,* (მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი),* შემფასებლების დამტკიცების საკითხი

შემფასებლები: *ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე*

პროფესორი გურამ ჯოლია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები-21 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ინფორმაცია, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსის უფროსმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ის ცვლილებები რომელიც დოქტორანტურის დებულების განხილვის შემდეგ შემოვიდა და გათვალისწინებულია აღნიშნულ დებულებაში. ცვლილებები ეხება ძირიადა მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებს, კერძოდ:

1. ცვლილება ეხება დებულების 12 მუხლის ,,დ“პუნქტს რომელიც მოითხოვს, დისერტაციის საჯარო განხილვისათვის დოქტორანტის ხელმძღვანელის დასკვნას და კათედრის სხდომის ოქმიდან ამონაწერს.
2. ცვლილებები ეხება 11 მუხლის 6 პუნქტს, დისერტაციის ავტორეფერატს. განისაზღვრა ავტორეფერატის ზღვრული ოდენობა 20 (ოცი)გვერდით, 40 000

ასო ნიშანი. ავტორეფერატს თან უნდა ერთვოდეს გამოქვეყნებული ლიტერატურის ჩამონათვალი. წარმოდგენილი უნდა იყოს Sylfaen 12 შრიფტით, 1,5 ინტერვალით.

ამასთან, დოქტორანტის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს დასკვნა, სადაც დადასტურებული იქნება დისერტაციის მეცნიერული სიახლე, თემის აქტუალობა, ინოვაციური შედეგების პრაქტიკული გამოყენება და პლაგიატის არ არსებობა

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ, პროფესორმა რევაზ გველესიანმა.
პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა.

დაადგინეს: **წარედგინოს თსუ აკადემიურ საბჭოს** დოქტორანტურის დებულება დასამტკიცებლად წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით.

მოისმინეს: დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №177/2018 დადგენილების შესაბამისად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის ასოცირებული პროფესორი, მიხეილ ჩიკვილაძე ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით აჯილდოვდა.
საპატიო მედალი, მას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ გადასცა.

დაადგინეს: ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

მოისმინეს: დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ, კერძოდ ადგილი აქვს ზოგიერთი კოლეგების მხრიდან (გვარების დასახელებისაგან ამ ეტაპზე მან თავი შეიკავა) ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ კამპანიას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიმართ, ასევე ზოგიერთი პროფესორის მიმართ. ამასთან ,,ისინი" მოწვეულები არიან საათობრივი ანაზღაურების წესით ფაკულტეტზე.
ეს პროფესორები არიან კონკურსის გარეთ დარჩენილი პედაგოგები.
პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, შემუშავდეს მექანიზმი პროფესორების საათობრივი ანაზღაურებით მოწვევის შესახებ. გათვალისწინებულ იქნეს მათი მორალური, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები.

აზრი არავის გამოუთქვამს

დაადგინეს: ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის ნინო ფარესაშვილის განცხადება, რომ 2019 წლის 1-2 ნოემბერს ჩატარდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში".

აზრი არავის გამოუთქვამს

დაადგინეს: ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარე,დეკანი, პროფესორი ... გიორგი ღაღანიძე

მდივანი,ასოცირებული პროფესორი ... მარინა მაისურაძე